# ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 4 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 198 (3682)

1968 წ. 8 ოქტომბერი, სამშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

სურათებზე: ზევით მარცხნივ — სსრ კავშირის გუნდის წევრები — ბადრის მტყორცნელი ა. პოპოვა და თარჯიმორბენალი ლ. იევლევა მასაჟისტ ე. რიაბინინასთან ერთად ეცნობიან ოლიმპიურ სოფელს; მარჯვნივ — ჭოკით მხტომელი გ. ბლიზნეცოვი ვარჯიშისას; ქვემოთ — სპრინტერი ვ. საპეია სავარჯიშო სტადიონზე, რომელიც საბჭოთა სპორტსმენების ბინას 200 მეტრითაა დაშორებული.

ფოტო ხ. სიჩევისა (საკდეხი).

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 30 | 18 | 10 | 2 | 48—19 | 46 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 31 | 18 | 7 | 6 | 52—34 | 43 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 30 | 15 | 10 | 5 | 46—23 | 40 |
| ცსკა | 31 | 15 | 9 | 7 | 40—28 | 39 |
| „დინამო“ (მინსკი) | 29 | 14 | 9 | 6 | 35—22 | 37 |
| „დინამო“ (თბილისი) | 31 | 13 | 10 | 8 | 39—21 | 36 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 31 | 14 | 8 | 9 | 45—29 | 36 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 30 | 10 | 13 | 7 | 42—37 | 33 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 30 | 10 | 12 | 8 | 29—29 | 32 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 31 | 9 | 11 | 11 | 32—31 | 29 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 31 | 8 | 13 | 10 | 28—40 | 29 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 32 | 9 | 11 | 12 | 20—34 | 29 |
| ასკ (როსტოვი) | 31 | 9 | 10 | 12 | 36—39 | 28 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 31 | 8 | 10 | 13 | 31—42 | 26 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 31 | 8 | 9 | 14 | 20—31 | 25 |
| „არარატი“ (ერევანი) | 31 | 9 | 6 | 16 | 27—41 | 24 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 32 | 7 | 9 | 16 | 25—38 | 23 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 31 | 7 | 8 | 16 | 19—35 | 22 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 31 | 6 | 8 | 17 | 29—52 | 20 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 31 | 5 | 9 | 17 | 19—37 | 19 |

## ჩირაღდანი ვერაკრუსში ჩავიდა

მეხიკო, 7 ოქტომბერი. მექსიკის ნავსადგურ ვერაკრუსში ქვემეხიანი ხომალდით „დურანგოთი“ ჩაიტანეს ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელიც 23 აგვისტოს საბერძნეთში აინთო.

მას შემდეგ, რაც „დურანგომ“ ღუზა ჩაუშვა ნაპირიდან 450 მეტრის დაშორებით, 17 მოცურავემ ესტაფეტასავით გამოიტანა ჩირაღდანი ნაპირზე და გადასცა XIX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, არქიტექტორ პედრო რამირეს ვასკესს.



◆ მეხიკო, 7 ოქტომბერი. აქ ცნობილი გახდა, რომ ერაყმა ბოლო მომენტში გადაწყვიტა არ მიიღოს მონაწილეობა XIX ოლიმპიურ თამაშებში.

* * *

ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალი 2 საათს, 8 წუთსა და 15 წამს გაგრძელდება, — გამოაცხადეს ორგანიზატორებმა. ცერემონიალი დაიწყება 13 საათზე ადგილობრივი დროით (23 საათზე თბილისის დროით. — რედ.).

* * *

წინაოლიმპიურ შეჯიბრებებში დამყარებულ ყველა რეკორდს წარადგენ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში ოფიციალურ მიღწევებად მათი დამტკიცების თაობაზე.

* * *

დაიწყო გაყიდვა სპეციალური საფოსტო მარკებისა, რომლებიც მექსიკაში ოლიმპიური ჩირაღდნის ჩამოსვლას ეძღვნება (ახლა ჩირაღდანი ვერაკრუსიდან ქვეყნის დედაქალაქში მიაქვთ მძლეოსნებს). სულ გამოშვებულია 300 ათასი ასეთი მარკა.

## უცნაური მოწმენი

საქვეყნო მოვლენები

ბალტიის ზღვა. რეფრიჟერატორი „იანტარნი“, 6 ოქტომბერი. საბჭოთა რეფრიჟერატორის „იანტარნის“ კაპიტანმა ი. მატოჩკინმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს წაუკითხა ნაწყვეტი ცნობილი ამერიკელი მოგზაურის უ. ვილისის მიმართვიდან შემხვედრი გემების კაპიტნებისადმი: „როცა ჩემი ნავი ქარიშხალში მოხვდა, დიდძალი სურსათი დავკარგე...“

როგორც ვიტყობინებოდით, ამ რეფრიჟერატორმა კალინინგრადს ჩაიტანა ვილისის ნავი, ნაპოვნი საბუთები და ნივთები. ეს ყველაფერი „იანტარნის“ გემბანზე აიტანეს ლატვიის ტრაულერ „ხრტ-4436“-დან, რომელმაც ატლანტის ოკეანეში, ირლანდიის დასავლეთით 360 მილზე იპოვნა იახტა 20 სექტემბრის საღამოს. „იანტარნიზე“ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ი. მატოჩკინმა ჟურნალისტებს უჩვენა ვილისის ნავი „ლიტლ უანი“ — პლასტიკური მასალით დაფარული პატარა ხის იახტა. მისი კაიუტა იმდენად პატარაა, რომ ვილისს თითქმის ოთხად მოკეცილს ეძინა.

ლითონის ყუთში იპოვნეს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის უ. ვილისის პასპორტი მისი ფოტოსურათით. სურათზე მომღიმარი წვერიანი მამაკაცია აღბეჭდილი. ნიუ-იორკის მერი ჯ. ლინდსეი ინგლისის ქალაქ პლიმუტის მერის სახელზე დაწერილ სარეკომენდაციო ბარათში ვილისს ახასიათებს, როგორც ცნობილ მოგზაურსა და მკვლევარს, რომელიც ამჯერად ნიუ-იორკიდან პლიმუტს მიემართებოდა ტრანსატლანტური რეისით.

ამ წერილის გადაცემით ვილისს ალბათ თავისი მოგზაურობის წარმატებით დამთავრება უნდა აღენიშნა, მაგრამ პლიმუტის მერს ბარათი არ მიუღია...

VII თამაშები

# მოულოდნელი სენსაცია

თბილისის სპორტის სასახლე.
8 ოქტომბერი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) —„ჟალგირისი" (კაუნასი) 23:18 (10:7).

„ბურევესტნიკი". აბაიშვილი, ზარდალიშვილი (გაიტანა 4 გოლი), ფხაკაძე (5), გაზდელიანი (4), ცერცვაძე (1), ნედბაილო (4), ხინჩიკაშვილი (5). ითამაშეს, აგრეთვე, სეფიაშვილმა, ხხიერელმა და ხუციშვილმა.

„ჟალგირისი". ჟიობა, პაიპალასი (1), პეტრენასი, არჟოლაიტისი (4), გრიშკიავიჩუსი (5), ეიზიტავიჩუსი (6), პოდბერეცკისი (2). ითამაშეს, აგრეთვე, კავოვჩუსკასმა და პენკაისკასმა.

მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ბ. გელმანი.

სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად, ძველი მეტოქეების შეხვედრები, როგორც წესი, მუდამ დაძაბულია. ჩვენ სწორედ ასეთ მეტოქეებად მივიჩნევთ თბილისის „ბურევესტნიკსა" და კაუნასის „ჟალგირისს". ეს გუნდები ერთხელ და ორჯერ როდი შეხვედრიან ერთმანეთს და მათი ბრძოლა მუდამ უშელავათო ყოფილა, თუმცა, საკავშირო სარბიელზე მათი მაჩვენებლები სხვადასხვაგვარია: თბილისელებს გაცილებით მეტი მედალი აქვთ მოპოვებული. და მაინც, ამ გუნდებს აქვთ საერთო: ტექნიკურად დახვეწილი და კომბინაციური თამაში. სწორედ ამიტომ ისინი საბჭოთა ხელბურთის ეტალონებად შეიძლება მივიჩნიოთ. ნუ იწყენს ზოგიერთი ამხანაგი და ერთს შევნიშნავ: როცა ამ გუნდების საუკეთესო თვისებებზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს მათი წარსული. იყო დრო, როცა თავისი ვირტუოზული თამაშით მაყურებლებს ანცვიფრებდა ანთაძე, ხსოვნიდან ვერ ამოშლი კარტოზიას „მერცხლის კამარას", კონტვაინისის სწრაფ გასვლას, მაცაჟინსკასისა და კენსტავიჩუსის ძლიერ ტყორცნას, ბაგრატიონის ალმაფრენით თამაშს... სამწუხაროდ, ეს არ იგრძნობა 1968 წლის „ბურევესტნიკსა" და „ჟალგირისში". როგორც ჩანს, საბჭოთა გუნდებიდან ყველაზე მეტად სწორედ ამ კოლექტივებში იგრძნობა თაობათა ცვლის კრიზისი. და მაინც, ამ ჩემპიონატში თბილისელებს კაუნასელებზე უკეთ აქვთ საქმე: „ბურევესტნიკის" წევრები ბრინჯაოს მედლების პრეტენდენტები არიან, კაუნასელები კი გათამაშების ცხრილის „ქანდარაზე" იმყოფებიან.

წამზომის ისარმა ერთი წრის შემოვლა ვერც კი მოასწრო, რომ ტაბლოზე აღიბეჭდა ციფრი „1". ეს გოლი გაიტანა ფხაკაძემ, თუმცა მას მალე გასცა პასუხი ეიზიტავიჩუსმა. ამის შემდეგ ხინჩიკაშვილი, გაზდელიანი და ზარდალიშვილი ზრდიან ანგარიშს — 4:1. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისელთა რიგებში არ იყო ექსეულიძე, რომელიც წინდღით ძალიან დაშავდა. ამ მხრივ უკეთ არც კაუნასელებს ჰქონდათ საქმე: ავადმყოფობის გამო მოედანზე არ გამოვიდა დანტე, ამჟამად გუნდში არ თამაშობს ძლიერი მეკარე ლეკეცკასი. ყოველივე ამან ორივე კოლექტივის ტაქტიკურ განლაგებაზე მოახდინა გავლენა. ძველი მეტოქეები წლევანდელ ჩემპიონატში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივეჯერ ქართველმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს (17:16 და 21:18). ამასთან, ყოველივე ეს კაუნასში მოხდა. კაუნასელთა მწვრთნელმა კონტვაინისმა, როგორც ჩანს, სათანადო დასკვნა გამოიტანა და ამჯერად ცერცვაძისა და ნედბაილოს პერსონალური მეურვეობა დაავალა თავის მოთამაშეებს. ამან ნაყოფიც გამოიღო — თბილისელთა თამაში შეიბოჭა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნედბაილო თითქმის მთლიანად იქნა გამორთული თამაშიდან: მისი 4 გოლიდან ორი 7-მეტრიანი საჯარიმოდან იქნა გატანილი.

კაუნასელებმა თანდათან აუღეს ალღო თბილისელებს და მე-19 წუთზე ანგარიში გაათანაბრეს — 5:5. „ბურევესტნიკს" მხოლოდ არჟოლაიტისის მოედნიდან გაძევებამ და მეტოქეთა რამდენიმე მიუტევებელმა შეცდომამ მისცა საშუალება დაწინაურებულიყვნენ და ტაიმი მოეგოთ ანგარიშით 10:7.

შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს ლიტველებმა. მათ არა მარტო გაათანაბრეს ანგარიში, არამედ 36-ე წუთზე პირველად დაწინაურდნენ კიდეც — 12:11. მაგრამ თამაშში გადამწყვეტი გარდატეხის შეტანა სტუმრებმა მაინც ვერ მოახერხეს. რამდენიმე კარგი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა კაუნასელთა კაპიტანმა პეტრენასმა. სწორედ ამ დროს ამოქმედნენ ხინჩიკაშვილი და გაზდელიანი: მათ რამდენიმე ლამაზი გოლი გაიტანეს პირველი შეტევიდან. და, ბოლოს, კარგად ითამაშა ზარდალიშვილმა. 52-ე წუთზე ცხადი გახდა, რომ მატჩის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყდა. მათ მეტად საჭირო 2 ქულა მოიპოვეს.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 28:28 (18:16).

საავიაციო ინსტიტუტი. სეგალი, მახორინი (3), ეფრემოვი (2), კლიმოვი (1), ზოტოვი (5), ჟურავლიოვი (7), კოჟუხოვი (5). ითამაშეს, აგრეთვე, ოგანეზოვმა (5), ზობოვმა და ალფეროვმა.

„ალუმინსტროი". ცაპენკო, ბოგატიკოვი, შატილოვი (3), ზელენოვი (3), გორიაჩიხი (8), პოპადჩუკი (14), ივანოვი (3). ითამაშა რეზნიკოვმაც (2).

მსაჯი — საკავშირო კატეგორიის არბიტრი ი. შვაგირევი.

საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი თამაშები ჯერჯერობით „გეგმიანად" მიდის, თუმცა, ამ შეხვედრაში პირველ სენსაციას არაფერი აკლდა და მისი ავტორები ზაპოროჟიელები უნდა ყოფილიყვნენ. ჩემპიონატის ლიდერებთან მატჩი მათ ძალიან ენერგიულად ჩაატარეს. „ალუმინსტროის" მხოლოდ ბევრი ნაღდი საგოლე მომენტის გამოუყენებლობამ და ამჯერად მეკარე ცაპენკოს ცუდმა თამაშმა (განსაკუთრებით პირველ ტაიმში) დააკარგვინა სასურველი შედეგი.

შესვენების შემდეგ ზაპოროჟიელები მთელი ძალით უტევდნენ სტუდენტთა გუნდს, რომელიც დაცვაში ძალიან უსუსური ჩანდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტუდენტების დაცვა ჰგავდა ბადეს, რომლის თვლებშიც თავისუფლად ნავარდობდნენ დიდ-დიდი თევზები. განსაკუთრებით თამამად გრძნობდა თავს პოპადჩუკი, რომელმაც ამ დღეს 14 გოლი გაიტანა.

34-ე წუთზე ანგარიში საყაიმო იყო (19:19), ხოლო 9 წუთის შემდეგ „ალუმინსტროი" 3 ბურთით დაწინაურდა — 25:22. სტუდენტებმა სრულად გამოიყენეს თავიანთი პოტენციური შესაძლებლობები და თამაშის ფრედ დამთავრება შეძლეს.

„ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) — ასკ (კიევი) 24:21 (12:9).

„ბურევესტნიკი". პიანიკოვი, ბარიშევი (4), შიიანი, ნაკონეჩნი (3), მაქსიმოვი (15), პანოვი (2), გრინბერგი. ითამაშეს, აგრეთვე, დოლგიმ და კროხინმა.

ასკ. გოროდეცკი, კორჟი (1), მალიკი (7), ბრატჩენკო (2), ზდორენკო (1), რაიცინი (2), მელნიკი (7). ითამაშეს, აგრეთვე, ვინარსკიმ, გლოტოვმა, ჩერნიაევმა (1) და ზახაროვმა.

მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვ. კოვალიოვი.

დასაწყისში (2:0, 3:1) კიეველი არმიელები ოპტიმისტურად განაწყო, მაგრამ მალე მაქსიმოვმა ზედიზედ გატანილი 5 გოლით დააწინაურა თავისი გუნდი. საბოლოოდ კრასნოდარელებმა შეხვედრის პირველი ნახევარი 3 ბურთის სხვაობით მოიგეს. მეორე ტაიმში კიეველებმა იძალეს და თამაშის 48-ე წუთზე საყაიმო ანგარიშს მიაღწიეს— 17:17. საყაიმო მდგომარეობა შემდეგ კიდევ სამჯერ შეიქმნა, მაგრამ კიეველთა ყოველ გოლს მათს კარში ზუსტი ტყორცნით აძლევდა პასუხს მაქსიმოვი, რომელმაც ამ დღეს თავისებური რეკორდი დაამყარა — 15 ბურთი გაიტანა. განვლილი სამი დღის შემდეგ იგი თბილისის ტურის საუკეთესო ბომბარდირია (31 გოლი). როცა არმიელებმა მაქსიმოვს საგანგებოდ მიუჩინეს მეურვე, გადამწყვეტი გოლები ბარიშევმა გაიტანა და თავის გუნდს გამარჯვებაც მოუტანა.

„კუნცევო" (მოსკოვი)—„დაუგავა" (რიგა) 21:15 (9:11).

„კუნცევო". სემიონოვი, ლუცენკო (1), მოროზოვი (2), მაზური (8), მიხალიოვი (5), შევჩენკო (1), ვასილიევი. ითამაშეს, აგრეთვე, სარანცევმა, ლებედევმა (1), სტოლიაროვმა (1) და აფანასიევმა (2).

„დაუგავა". ვილსონსი, ინდუსი, იუბელი, სპრინგისი (4), კალნინში (2), ა. გულბისი (5), მ. გულბისი (4). ითამაშეს, აგრეთვე, კიპენსმა და ეგიტისმა.

მსაჯი — საკავშირო კატეგორიის არბიტრი თ. ჩხარტიშვილი.

რიგელებმა თავიდან კარგად და...
და ბურთს ნაღდ გოლამდე ათამაშ...
ნენ, მოსკოველებმა კი პირიქით, ...
ხანს ვერა და ვერ ააწყვეს თამ...
„კუნცევოს" ვერც მოედანზე გუ...
ვეტერანის ლებედევისა და ახალგ...
და სტოლიაროვის გამოსვლამ უშვ...
მეკარეც შეცვალეს, მაგრამ ამ ც...
ლებებმა კოლექტივს წარმატება ...
მოუტანა და მოსკოველებმა ტაიმი ...
აგეს.

შესვენების შემდეგ შევჩენკო ...
ნინში მეურვეობდა. რიგელებმა ...
დენჯერმე უზუსტოდ ტყორცნეს ...
ში. თავი იჩინა დაღლილობამ. ...
მაშინვე ისარგებლეს მოსკოველებმ...
ხელთ იგდეს ინიციატივა. მატჩის ...
სკვნით ნაწილში „კუნცევოს" უპ...
ტესობა აშკარა იყო.

ვ. ჩიოჩი...
საერთაშორისო კატეგორი...
არბიტრი, ჩემპიონატის მ...
ვარი მსაჯი.

ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვის საა...
ციო ინსტიტუტის ხელბურთე...
მოროზოვი უტევს „კუნცევ...
კარს. ყოველი შემთხვევის...
მზადაა კლიმოვიც.

ფოტო ა. სააკოვი...

# ГУШИН

## გუშინ

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის 4 მატჩი. შედეგები ასეთია: ასკ (კიევი) — „დაუგავა" (რიგა) 20:17 (12:6), „კუნცევო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 17:16 (6:8), მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) 26:24 (15:13), „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 17:17 (9:10).

საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა 40 ქულით უკვე გაინაღდა ჩემპიონის წოდება, ხოლო „კუნცევომ" 33 ქულით—ვერცხლის მედლები. „ალუმინსტროისა" და თბილისის „ბურევესტნიკს" 25-25 ქულა აქვთ, კრასნოდარის „ბურევესტნიკს" — 24.

## დღეს

საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 16.00. „ჟალგირისი" (კაუნასი) — ასკ (კიევი), 17.20. „დაუგავა" (რიგა) — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი, 18.40. „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი)—„ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე), 20.00. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „კუნცევო" (მოსკოვი).





ლვოვის დოსააფის ავტომოტოკლუბის სპორტსმენმა ავტომობილი...
ტებმა თანაკლუბელის, მოტოველოსიპედების ქარხნის ინჟინრის ვ. მაზ...
რინის ნახაზების მიხედვით ააგეს სარბოლო ავტომობილი, რომელზე...
დადგმულია ჩეხოსლოვაკიური წარმოების ძრავი. ავტომობილს საათ...
170 კილომეტრამდე სისწრაფის განვითარება შეუძლია.

ს უ რ ა თ ზ ე: ავტომოტოკლუბის წევრები, ძმები მ. და ვ. ფენიოვე...
მანქანას გამოცდისთვის ამზადებენ.

ფოტო ბ. კრიშტულისა (ასს-ი)

## ზაფხულისა და ზამთრის შეხვედრა

ასე შეიძლება ეწოდოს 6 ოქტომბრის დღეს იაკუტსკში. ამ ქალაქ...
ასობით მცხოვრებმა ამ დღეს პირველად მოსინჯა თოვლის საფარ...
მძლეოსნები კი... საზაფხულო სეზონს ხურავდნენ.

დაიხურა ეს სეზონი ტრადიციული ესტაფეტით მოსკოვის პრიზზ...
რომელიც პირველად ოთხი წლის წინათ ჩატარდა ზეფების — მოსკოვ...
ლი სპორტსმენების პატივსაცემად. საპატიო ჯილდო ზედიზედ მესამე...
მოიპოვა „უროჟაის" გუნდმა. ესტაფეტაში მონაწილეობდა 60-ზე მეტ...
სპორტსმენი. მძლეოსნები არც თოვლს შეუშინდნენ, არც ცივ ქარს ...
არც გაყინულ ქვაფენილებს.

## „ოქროს თავთავი"

კრასნოდარის მხარის სტანიცა კანევსკაიაში გუშინწინ სტარტი აიღო საინტ...
რესო ტურნირმა — სოფლის უძლიერეს ფეხბურთელთა ფინალურმა შეჯიბრებ...
„ოქროს თავთავის" პრიზზე, რომელიც ალკკ საკავშირო ცენტრალურმა კომ...
ტეტმა დააწესა.

ბრძოლაში ჩაება 6 გუნდი: პრიზის შარშანდელი მფლობელები — კანევსკ...
რაიონის კოლმეურნეობა „პობედას" სპორტსმენები, ბელორუსიის, უკრაინ...
უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფეხბურთელები.

გამარჯვებულის ვინაობა გაირკვევა 13 ოქტომბერს — სოფლის მეურნეობ...
მუშაკთა დღეს.

## ჩვენც მოგვხედეთ

„ლელოს" ფურცლებზე საკმაოდ ხშირად წავვიკითხავს ახალგაზ...
სპორტსმენთა, კერძოდ, ფეხბურთელთა უკმაყოფილების გამომხატვ...
წერილები, სადაც ახალგაზრდები ჩივიან სათამაშო მინდვრის უქ...
ლობას.

ჩვენც, სამტრედიის რაიონის სოფ. ხუნჯულაურის ფეხბურთის მ...
ვარულნი, ასეთ მდგომარეობაში ვართ. სათამაშო მინდორი საკუთარი ...
ლებით მოვაწყვეთ, მაგრამ მინდვრის გარდა ფეხბურთელს ხომ სჭირ...
ზა სხვა დამხმარე ინვენტარი: ბურთები, სპორტული ფორმა და ...
რამდენიმეჯერ ვთხოვეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ზ. კაპარ...
მაგრამ მისი დაპირებები ჯერჯერობით შეუსრულებელია. კიდევ მეტ...
სათამაშო მინდორი საძოვრად გამოიყენეს.

ვფიქრობთ, ჩვენი სოფლის თავკაცები ახლა მაინც მოგვაქცე...
ყურადღებას.

სოფ. ხუნჯულაურის ახალგაზრდო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ოლიმპიელები

## ზემოავჭალელი ფალავანი

სოფელში შაბათ-კვირის მოახლოება ახალი წლის დადგომასავით უხაროდათ. იმ დღეებში სალამოობით დოლი და ზურნა საჭიდაო წრეში უხმობდა ყველას, ვისაც ძალა ერჩოდა. წყვილი წყვილს ცვლიდა. სოფლის თავკაცები საუკეთესოებს სხვა სოფლებში მკლავის ძალის გამოცდის უფლებასაც აძლევდნენ და ვაი მას, ვინც შინ დამარცხებული დაბრუნდებოდა...

... ივანე ბერიაშვილი თავის დროზე კარგ მოჭიდავედ ითვლებოდა ზემო ავჭალაში, ხოლო როცა ზარიბეგი წამოიჩიტა, მის დასტაქტებას მოჰკიდა ხელი. ერთხელ ავჭალაში წაიყვანა და თანატოლებს დააჭიდა. დაღლილ ბიჭს ვიღაცამ სძლია. გულდაწყვეტილმა მამამ დარცხვენილ შვილს გადაჰრით უთხრა: შენგან მოჭიდავე არ გამოვაო და მის წვრთნაზე ხელი აიღო.

ზარიბეგი სულ სხვას ფიქრობდა: მეათეკლასელი განათლების განყოფილების სპორტსკოლის სექციაში ჩაება, ნამდვილი დასტაქტება კი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიწყო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის გ. როსტიაშვილის ხელმძღვანელობით.

— ასეთი მუყაითი მოწაფე არ მყოლია, — გვიამბობს როსტიაშვილი. — არ მახსოვს სავარჯიშოდ დაგვიანებით მოსულიყო. ხალიჩაზე ენერგიული, დაუღალავი, აგრესიული იყო, ვარჯიშის დროს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა მეწყვილეებს. ეს თვისება ახლაც შერჩა.

მწვრთნელს ვთხოვთ მოკლედ გაგვაცნოს ბერიაშვილის სპორტული გზა.

— ინსტიტუტში ვარჯიშის დაწყებიდან ერთი წლის თავზე ზარიბეგმა თბილისის პირველობაში მიიღო მონაწილეობა და თავისუფალ ჭიდაობაში II ადგილი დაიკავა, შემდეგ ასპარეზობაში კი ჩემპიონი გახდა. აქედან ზარიბეგი ჯერ საკავშირო, შემდეგ საერთაშორისო სარბიელზე გავიდა და დიდი წარმატებებიც მოიპოვა, საქართველოს ჩემპიონი კი ერთხელაც არ ყოფილა, ვინაიდან ამ ტურნირში არასოდეს უასპარეზია.

მწვრთნელმა გვიამბო, რომ ზარიბეგმა ქვეყნის ჩემპიონობა მსუბუქ წონაში პირველად ვარჯიშის დაწყებიდან ხუთი წლის შემდეგ, 1962 წელს მოიპოვა და მერე კიდევ ოთხჯერ დაისაკუთრა ეს ტიტული, ორჯერ კი II ადგილი დაიკავა, თუმცა არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

ზარიბეგი სსრ კავშირის ნაკრების უცვლელი წევრია. იგი ორჯერ იყო ევროპის ჩემპიონი: შარშანწინ კარლსრუეში გაიმარჯვა და პირველობის აღიარებული ფავორიტი, თურქი ა. აგრალი აიძულა II ადგილს დასჯერებოდა. შარშან კი ქართველმა მოჭიდავემ სტამბოლში ისახელა თავი, თუმცა იქ ისეთი მძლავრი მეტოქენი ჰყავდა, როგორიც შვედი ი. კარლსონი და ბულგარელი ე. ვილჩევი არიან.

— ზარიბეგის სპორტული ბიოგრაფია ამით როდი ამოიწურა. ჩემი აღზრდილი, — განაგრძობს მწვრთნელი, — გამოდიოდა მანჩესტერის, ტოლიდოს, დელის მსოფლიო ჩემპიონატებში, ტოკიოს ოლიმპიადაში. ტოკიოში იგი მეხუთე იყო, ტოლიდოში ავადმყოფი ჭიდაობდა და VII ადგილს დასჯერდა. მანჩესტერსა და დელიში ბერიაშვილმა ირანელი კ. მოვაჰედი ვერ ჩამოიტოვა, თუმცა პირადად არ წაუგია მასთან. ამ ქალაქებში მოვაჰედმა ბერიაშვილს იმით აჯობა, რომ მეტოქეთა დამარცხებას ნაკლები დრო მოანდომა. ერთი სიტყვით, ქართველი ათლეტი ორივეგან მეორე იყო...

მაგონდება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარის რ. კულონის სიტყვები ბერიაშვილზე, როცა მას დელის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სთხოვეს თავისი აზრი გამოეთქვა ტურნირის ფავორიტებზე:

— მსუბუქ წონაში ჩემპიონობა ზედიზედ მესამედ ღირსეულად მოიპოვა მოვაჰედმა, მაგრამ არ დავმალავ, რომ სსრ კავშირის გუნდის წევრს საოცარი უიღბლობა სდევს თან. ასეთი შემტევი, გაბედული, გამარჯვებისთვის მებრძოლი მოჭიდავე იშვიათად შემხვედრია, მაგრამ ბერიაშვილი ამჯერადაც ოქროს მედლის გარეშე დარჩა. გაისად, მეხიკოშიც დავესწრები მის გამოსვლას და, მე მგონია, იქ მაინც მივულოცავ ორმაგ გამარჯვებას (კულონი ალბათ იმას გულისხმობდა, რომ ოლიმპიადების წლებში ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატები არ ეწყობა და თამაშებში გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონადაც ითვლება).

— თქვენ რას ფიქრობთ ზარიბეგის შანსებზე მეხიკოში? — ვკითხეთ მწვრთნელს, რომელიც იმ დღესაც თბილისის ფალავანთა კლუბში სექციის მორიგ მეცადინეობას ატარებდა.

— გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. მსუბუქ წონაში მუდამ ძლიერი მეტოქეები იყრიან თავს სასპარეზოდ. მოვაჰედი, რა თქმა უნდა, იქაც იბრძოლებს გამარჯვებისთვის, ვილჩევსაც აქვს ოქროს ჯილდოს პრეტენზია. ძლიერია კორეელი სრეტერი, აღარას ვამბობ თურქეთისა და იაპონიის სპორტსმენებზე.



ერთი სიტყვით, ზარიბეგს მეხიკოში 5-6 ისეთი ძლიერი მეტოქე ჰყავს, როგორიც არასოდეს ჰყოლია. არ დავმალავ: ბერიაშვილიც შესანიშნავადაა მომზადებული, თუმცა მეხიკოში წასვლისას სინანულს გამოთქვამდა, რომ იქ, მექსიკის ხალიჩაზე გასვლის წინ ვერ მივცემ სათანადო დარიგებას.

ნ. გიგოლაშვილი.

* * *

სურათზე: ზარიბეგ ბერიაშვილი.

## მედლები დებიუტანტებსაც სჭირდებათ

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს სახელოვანი ოლიმპიური ისტორია აქვთ. 1952 წელს ჰელსინკში აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვეს მ. გოროხოვსკაიამ და ვ. ჩუკარინმა. ოთხი წლის შემდეგ მელბურნში გაიმარჯვეს ლ. ლატინინამ და ვ. ჩუკარინმა. 1960 წელს რომის ოლიმპიადის ლაურეატები იყვნენ ლ. ლატინინა და ბ. შახლინი. ყველა ამ ოლიმპიურ ფორუმზე საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა და ვაჟთა გუნდების გამოსვლას წარმატება ახლდა. მათ ბევრი მედალი მოიპოვეს ცალკეულ იარაღებზეც.

მაგრამ აი, ბოლო ოლიმპიადაზე ტოკიოში, ოთხი წლის წინ, საბჭოთა ტანმოვარჯიშეების „ოქროს“ პოზიციებზე მძლავრი იერიში მიიტანეს. იაპონელმა ი. ენდომ და ჩეხოსლოვაკიელმა ვ. ჩასლავსკამ სასურველ შედეგს მიაღწიეს და მრავალჭიდში საუკეთესოთა სახელი მოიპოვეს. საბჭოთა ვაჟებმა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური იაპონიის ნაკრებს დაუთმეს. მხოლოდ საბჭოთა ქალთა გუნდმა შეინარჩუნა ოქრო.

ტოკიოს შემდეგ სსრ კავშირის ნაკრები თითქმის მთლიანად განახლდა. ქალთა გუნდში ყველა წევრი ახალია, ვაჟთა გუნდში ტოკიოში მოასპარეზეთაგან მხოლოდ ს. დიომიდოვი და ვ. ლისიცკი დარჩნენ. და მაინც, დებიუტანტები მეხიკოში მედლებისთვის ჩავიდნენ.

ვაჟთა ნაკრებს მ. ვორონინი უდგას სათავეში. ვორონინის ვარსკვლავი ორი წლის წინ ამობრწყინდა დასავლეთ გერმანიის ქალაქ დორტმუნდში, სადაც მან ბრწყინვალედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. ვორონინი იდეალური მრავალჭიდელია. ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე იარაღზე მან III ადგილი მაინც არ დაიკავოს. ასე რომ, ვორონინს შეუძლია მედლების კოლექცია მოიპოვოს ცალკეული ვარჯიშების შესრულებისთვისაც.

საბჭოთა გუნდის მეორე ნომერი ს. დიომიდოვი ყველაზე ძლიერი ორძელზეა. იგი მსოფლიო ჩემპიონია ამ იარაღზე. ახალგაზრდა სპორტსმენი ვ. სოშინი ლეგენდარული ა. აზარიანის მემკვიდრეა რგოლებზე ვარჯიშში. ძალიან საინტერესო იქნება ამასწინანდელი იუნიორების ვ. კლიმენკოს და ვ. ილინიხის გამოსვლაც. გუნდის საერთო წარმატებაში ალბათ საგრძნობ წვლილს შეიტანენ ვ. ლისიცკი და ვ. კარასიოვი.

ქალთა გუნდის მეთაურია ლენინგრადელი სტუდენტი ნ. კუჩინსკაია. შარშან იგი ბრწყინვალედ გამოვიდა წინაოლიმპიურ კვირეულში. მართალია, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონს ვ. ჩასლავსკას ამ შეჯიბრებაში არ უასპარეზია, მაგრამ კუჩინსკაიამ ხომ ჯერ კიდევ ორი წლის წინ მოიგო 3 მედალი ცალკეულ იარაღებზე დორტმუნდში, სადაც ჩასლავსკაც ასპარეზობდა. იქ საბჭოთა სპორტსმენს სულ ცოტა დააკლდა მრავალჭიდში გამარჯვებამდეც.





დორტმუნდში მხოლოდ კუჩინსკაიას შეეძლო ჩასლავსკას მეტოქეობა. ახლა I ადგილისთვის იბრძოლებს კიდევ ორი საბჭოთა სპორტსმენი ქალი — ზ. ვორონინა და ლ. პეტრიკი. ვორონინა ძალიან ძლიერია ხტომაში და თავისუფალ ვარჯიშში, მაგრამ პეტრიკმა ოლიმპიადისთვის ისეთი მიმზიდველი თავისუფალი ვარჯიში მოამზადა „ბოშურის“ რიტმზე, რომ, როცა იგი ცეკვავს (სხვა სიტყვას ვერც მოძებნი), დარბაზი თავს ვერ იკავებს — მუსიკის ტაქტს ჰყვება.

სსრ კავშირის ნაკრებში ორი 15 წლის მოსწავლე გოგონაა — ვორონეჟელი ლიუბა ბურდა და გროზნოელი ლიუდა ტურიშჩევა. ასაკი ამ სპორტსმენთა ოსტატობას და მაღალ კლასს ხელს ვერ უშლის. გუნდის მეექვსე წევრია მოსკოველი ო. კარასიოვა. ეს 20 წლის ტანმოვარჯიშე უკვე გამოცდილი, საერთაშორისო სარბიელზე ნაწრთობი სპორტსმენია. ასე რომ, დებიუტანტები უმაღლესი ოლიმპიური მედლებისთვის იბრძოლებენ.

ვ. დვორცოვი.

* * *



სურათზე: სსრ კავშირის სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიური ნაკრების წევრი ლ. ბურდა.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა (საკდესი).

## რეპეტიცია რეკორდებით

მეხიკოში, სადაც სულ რამდენიმე დღეში XIX ოლიმპიური თამაშები დაიწყება, სპორტსმენები რეპეტიციებს აგრძელებენ. ესტაფეტაში 4×100 მეტრზე კვლავ საუკეთესო შედეგი აჩვენეს კუბის მორბენლებმა ე. ფიგეროლამ, ხ. მორალესმა, ბ. ბანდომომ და ფ. ეუხელისმა — 38,8. 200 მეტრი 20,2 წამში გაირბინა ავსტრალიელმა პ. ნორმანმა. მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება დანიელ ველოსიპედისტს ო. რიტერს ხვდა. ერთ-ერთი საწვრთნელი ვარჯიშის დროს მან ერთბაშად სამი მსოფლიო რეკორდი დაამხო: 5 კმ-ზე — 5.51,6, 10 კმ-ზე — 11.58,4, 20 კმ-ზე — 24.17,4. „რამდენიმე დღის შემდეგ კი საათიან რბოლაში ვეცდები მსოფლიო მიღწევის მოპოვებას“, — თქვა ამ დიდი გამარჯვების შემდეგ რიტერმა.

### ვარჯიშიდან... ჰოსპიტალში

მეხიკო, 7 ოქტომბერი. საწვრთნელი ვარჯიშიდან ჰოსპიტალში ამოყო თავი 800 მეტრზე ინგლისელმა მორბენალმა ჯონ დევისმა. მან სერიოზულად დაიშავა ფეხი. როგორც ჩანს, დიდი ბრიტანელების ეს „იმედი“ ოლიმპიადაში ველარ გამოვა.



✦ **მეხიკოს** სტადიონზე მოასპარეზე სხვადასხვა ქვეყნის მძლეოსანთა წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში ე. გუშჩინის მიერ დამყარებული რეკორდის შესახებ უკვე ვწერდით. იმავე ტურნირში თავი ისახელა მოსკოველმა ა. ოკოროკოვამაც, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში 184 სმ აჩვენა და 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე საკავშირო რეკორდი. საინტერესო იყო ესტაფეტები 4×100 მეტრზე. ვაჟებში ყველას კუბელებმა (ე. ფიგეროლა, ხ. მორალესი, პ. მონტესი, ე. რემირესი) აჯობეს — 38,8. ეს შედეგი 0,2 წამით ჩამორჩება ამერიკელთა მიერ შარშან პროვოში დამყარებულ მსოფლიო რეკორდს. სსრ კავშირის კვარტეტმა კუბელებთან 0,1 წამით წააგო, სამაგიეროდ, გაიმეორა ევროპის რეკორდი და ქვეყნის ახალი მიღწევა დაამყარა. ქალთა ესტაფეტაშიც საუკეთესონი კუბელები იყვნენ — 43,6. ეს შედეგი მსოფლიო რეკორდის გამეორებაა.

✦ **ოლიმპიადაზე** გამგზავრების წინ უნგრელმა მძლეოსნებმა გამართეს შეჯიბრება, რომელშიც რამდენიმე მაღალი შედეგი მოიპოვეს: ი. შტუგნერმა ბადრო 58,15 მეტრზე ტყორცნა, რაც სეზონის მეხუთე შედეგია მსოფლიოში. ბირთვის კვრაში ქვეყნის რეკორდსმენმა ი. ბოგნარ-ლენდვაიმ 17,86 მ აჩვენა. შუბის ტყორცნაში გ. კულჩარის შედეგია 81,14 მ.

✦ **გდრ-ის** ოლიმპიელთა მეორე ჯგუფმა პოტსდამში გამართა ბოლო ტურნირი. მ. ლანგემ ბირთვის კვრაში მეტად სტაბილური შედეგები (17,03; 17,73; 17,67; 17,73; 17;38; 17,44) აჩვენა. ჰ. ლოშის ბადრო 62,10 მეტრზე დაეცა, ჰ. ბაუმანის ურო — 67,90 მეტრზე.

✦ **დარ-ეს-სალამში** გაიმართა აღმოსავლეთ აფრიკის ჩემპიონატი, რომელიც ამ კონტინენტის ქვეყნების მძლეოსანთა ბოლო შემოწმება იყო მექსიკის ოლიმპიადის წინ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს კენიელებმა. 100 იარდზე რბენა მოიგო ობილუმ (უგანდა) — 9,6, 880 იარდზე უძლიერესი იყო კიპრუგუტი (კენია) — 1.46,4, 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ყველას აჯობა მისმა თანაგუნდელმა კოგომ — 8.44,2.



გუშინწინ გაიმართა ჩემპიონატის მორიგი ტურის 8 მატჩი.

ამ დღეს შედგა რამდენიმე საყურადღებო შეხვედრა, რომელთა შედეგებს სერიოზულ ცვლილებათა შეტანა შეეძლო გათამაშების ცხრილში. უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგალითად, მატჩი ოდესაში ადგილობრივ „ჩერნომორეცსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის. ოდესელებმა ძლიერად ითამაშეს. ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 მოსკალენკოსა და ლისენკოს მიერ გატანილი გოლების შემდეგ, მაგრამ „სპარტაკმა“ შეძლო თავი დაეღწია დამარცხებისთვის — 2:2 (პაპაევი, იანკინი).

ფრედ დამთავრდა „ზარიას“ შეხვედრა „ნეფტჩისთან“ ლუგანსკში. პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა ბაქოელთა კაპიტანმა მარქაროვმა, ხოლო მასპინძლებმა გოლი გაქვითეს სატაევის მიერ ზუსტად შესრულებული პენალტით — 1:1 (83-ე წუთზე).

2 მატჩი დამთავრდა დიდი ანგარიშით. „შახტიორმა“ საკუთარ მინდორზე მოუგო კიროვაბადის „დინამოს“ — 3:0 (ზელკიავიჩუსი, გრიგორიევი, ორლოვი), ხოლო მინსკის დინამოელებმა დაამარცხეს „კრილია სოვეტოვი“ — 4:1 (2-2 ბურთი გაიტანეს მინსკელებმა მალოფეევმა და მუსტიგინმა, 1 საპასუხო — ჟუკოვმა).

ძალზე საჭირო 2 ქულა აიღო ლენინგრადში მოსკოვის „ტორპედომ“ ადგილობრივ „ზენიტთან“ ბრძოლაში. ერთადერთი გოლის ავტორია სავჩენკო.

ასეთივე მინიმალური ანგარიშით დამთავრდა „კაირატის“ შეხვედრა როსტოვის არმიელთა გუნდთან. „კაირატმა“ გაიმარჯვა — 1:0 (კვოჩკინი).

* * *

გუშინ მოსკოვში შედგა ტურის მორიგი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და „არარატს“ შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

## სსრ კავშირის პირველობა

# პენალტის, „ავტოგოლის“

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 6 ოქტომბერი.

ცსკა — „დინამო“ (თბილისი) 3:2 (1:0).

ცსკა: პშენიჩნიკოვი, აფონინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ზაგრიჩი, უტკინი (ისტომინი), პლახეტკო, ადამოვი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი, ჟიგუნოვი (მასლიაევი).

„დინამო“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი (კუტივაძე), მეტრეველი, გავაშელი, მესხი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები — 1:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

ძველი მეტოქეები — მოსკოვის არმიელები და თბილისის დინამოელები კვლავ „ბეწვის ხიდზე“ შეხვდნენ ერთმანეთს. გათამაშება დასასრულს უახლოვდება, ყოველი ქულა ოქროს ფასად ფასობს, ეს ორი გუნდი კი ერთმანეთის მჭიდრო მახლობლობაში იმყოფება ლიდერთა ჯგუფში. რასაკვირველია, ეს გარემოება განსაკუთრებულ სიმწვავეს მატებდა მატჩს.

შეხვედრის დასაწყისი თანაბარი იყო. ორივე გუნდი ენერგიულად იბრძოდა მინდვრის შუაგულის დასაპყრობად და აქცენტს ნახევარმცველთა აქტიობაზე აკეთებდა. თანდათან გამოირკვა, რომ ცსკა ამ ზონაში უფრო ძლიერი იყო, მეტ სამუშაოს ასრულებდა და ამიტომაც იყო, რომ საერთო ინიციატივის მოპოვება შეძლო.

მართალია, ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ იგი არ იყო ისე შესამჩნევი, რომ თბილისელები ერთი ბურთის პასივით წასულიყვნენ შესვენებაზე. პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა პლახეტკო ბურთიანად აღმოჩნდა „დინამოს“ საჯარიმო მოედანზე. მან მოულოდნელად დაარტყა, ურუშაძე არ იყო მზად ბურთის ასაღებად და გაუშვა გოლი.

სტუმრების ტაქტიკური გადაწყვეტილება შესვენების შემდეგ ცხადი იყო: შეტევა, მხოლოდ შეტევა! თითქმის მთელი გუნდი იერიშზე იყო გადასული და ამ თამამ მანევრს მალე სასურველი შედეგიც მოჰყვა: ბურთი გაიტანა გავაშელმა — 1:1.

ბრძოლა ახალი ძალით, ახალი სიმძაფრით გაჩაღდა. დინამოელები განაგრძობდნენ დაწოლას, მაგრამ ცსკა კარგი ურთიერთმოქმედებით იცავდა თავს და თვითეულ მცირე შესაძლებლობასაც მაქსიმალურად იყენებდა კონტრშეტევისთვის. გუნდის ერთ-ერთი ასეთი სწრაფი გარღვევა დამთავრდა იმით, რომ პოლიკარპოვს შეებრძოლა ორი მცველი. მათგან ერთ-ერთმა, კერძოდ, ძოძუაშვილმა, წაართვა ფორვარდს ბურთი და ამ მომენტში კარიდან წინ გამოსულ ურუშაძეს მიაწოდა იგი. გოლის ხსნა აღარავის შეეძლო — 1:2.

„ავტოგოლს“ მოჰყვა ახალი უსიამოვნება „დინამოს“ კართან. გარღვევაზე მყოფი ჟიგუნოვი საკუთარ საჯარიმო მოედანზე წააქცია ძოძუაშვილმა. პენალტი ზუსტად შეასრულა პოლიკარპოვმა — 3:1.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ თბილისელებს არ დაუკარგავთ იმედი. მათი თავდამსხმელები კვლავ შეუსვენებლივ იბრძოდნენ ანგარიშის შესაცვლელად და ეს შეძლო მეტრეველმა, რომელმაც თავისი სოლური გარღვევა მეორე საპასუხო გოლით დაამთავრა.

დარჩენილ დროში იმავე მეტრეველს და გავაშელს ჰქონდათ შესაძლებლობა ეხსნათ ქულა, მაგრამ მათი საბოლოო დარტყმები კარს აცდა.

ვ. პავლოვი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# ტაშკენტში...

ტაშკენტი. „პახტაკორის“ სტადიონი. 6 ოქტომბერი.

„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:0.

„პახტაკორი“: ლიუბარცევი, დოცენკო, შტერნი, ნაუმენკო, ინოიატოვი, პეტუხოვი, რახმატულაევი, ისაკოვი (იუნუსოვი), აბდურაიმოვი, ბექთაშევი, იბრაგიმოვი.

„ტორპედო“: კოტრიკაძე, წვერავა, წივწივაძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ებრალიძე, ასიტაშვილი, ზარია, ხერხაძე, ვეკუა, ჭითანავა.

მსაჯი ვ. ბაბუშკინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1 „პახტაკორის“ სასარგებლოდ.

# ნანას მესამე ქულა



აშხაბადი, 7 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკე ქალთა XXVIII პირველობის IV ტურში მხოლოდ ხუთი პარტია დამთავრდა.

ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონმა მ. რანიკუმ (ტალინი). ამჯერად მან დაამარცხა კ. ზვორიკინა (მინსკი). მესამე პარტია მოიგო მოსკოველმა ნ. კონოპლიოვამაც (ნ. რუსინკევიჩთან). გამარჯვების პირველი სიხარული იგემა ლვოველმა სტუდენტმა მ. შულმა, რომელმაც სძლია თ. გოლოვეის (მინსკი).

ყაიმით დასრულდა ლ. რუდენკო (ლენინგრადი) — კ. სკეგინას (მოსკოვის ოლქი) და თ. ბელოვა (ფსკოვი) — ი. გურფინკელის (ვოლგოგრადი) შეხვედრები.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. არ გათამაშებულა მხოლოდ ნ. მედიანიკოვა — ნ. ალექსანდრიას პარტია ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო.

მსაჯებმა გამოაცხადეს, რომ თამაშის განუახლებლად დამთავრდა III ტურის შემდეგი პარტიები: რუსინკევიჩი — მ. სანაძე 0:1 და ვ. ბორისენკო — რუდენკო 0,5:0,5.

დღეს შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. III ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში ალექსანდრიამ დაამარცხა ზვორიკინა. ესტერკინამ მოუგო კაცკოვას, შულმა — სკეგინას. IV ტურის გადადებული პარტიები ასეთი შედეგებით აღინიშნა: ბორისენკომ სძლია სანაძეს, ბილუნოვამ — ჩაიკოვსკაიას, ესტერკინამ — სტარჩენკოს. ყაიმით დასრულდა ზატულოვსკაია — კაცკოვას შეხვედრა.

ახლა ბორისენკოს, ბილუნოვასა და ესტერკინას 3,5-3,5 ქულა აქვთ. ალექსანდრიას კი 3 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია.

# ხელახალმა კენჭისყრამ ვერ უშველა

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში, როგორც ცნობილია, მოხდა ხელახალი კენჭისყრა, რომელიც არსებული ელემენტარული წესების უხეში დარღვევით, „სეპარატულად“ ჩაატარა ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტმა გ. ვიდერკერმა (შვეიცარია) თავის უახლოეს თანამოსაქმეთა მონაწილეობით.

უეფა-ს ხელმძღვანელობამ ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო შოტლანდიის „სელტიკის“ ყოვლად გაუმართლებელი პრეტენზია ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი ამბების გამო.

სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს ზემოაღნიშნული გათამაშებები და მათს ამ სამართლიან გადაწყვეტილებას მხარს უჭერს მთელი მსოფლიოს პროგრესული სპორტული საზოგადოებრიობა.

თამაშები დაიწყო. და აი, პირველი სენსაციები: „სელტიკმა“, რომელიც ხელახალი კენჭისყრის ინიციატორი იყო და ფაქტიურად არ სურდა შეხვედროდა ბუდაპეშტის ძლიერ გუნდს — „ფერენცვაროშს“, ჩემპიონთა თასის პირველივე მატჩი წააგო საფრანგეთის „სენტ-ეტიენთან“ — 0:2, ხოლო იტალიის „მილანი“, რომლის წარმომადგენელი აგრეთვე მონაწილეობდა ხელახალ კენჭისყრაში, დამარცხდა შვეციის „მალმესთან“, შეხვედრაში — 1:2 (ადრინდელი, კანონიერი კენჭისყრით მას უნდა ეთამაშა ბულგარეთის „ლევსკისთან“).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 33 | 19 | 10 | 4 | 47—16 | 48 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 33 | 15 | 15 | 3 | 27—11 | 45 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 33 | 16 | 9 | 8 | 43—24 | 41 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 33 | 15 | 10 | 8 | 46—24 | 40 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 32 | 16 | 8 | 8 | 43—26 | 40 |
| „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) | 33 | 12 | 14 | 7 | 36—26 | 38 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 33 | 11 | 12 | 10 | 34—28 | 34 |
| „ზენიტი“ (იჟევსკი) | 34 | 11 | 12 | 11 | 29—33 | 34 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 34 | 10 | 14 | 10 | 25—30 | 34 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 32 | 10 | 12 | 10 | 33—29 | 32 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 32 | 12 | 8 | 12 | 27—32 | 32 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 34 | 11 | 9 | 14 | 34—40 | 31 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 33 | 10 | 10 | 13 | 26—34 | 30 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 32 | 9 | 11 | 12 | 37—32 | 29 |
| „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) | 33 | 8 | 13 | 12 | 27—28 | 29 |
| „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 34 | 11 | 7 | 16 | 35—51 | 29 |
| „სტროიტელი“ (უფა) | 34 | 9 | 10 | 15 | 34—46 | 28 |
| „თერგი“ (გროზნო) | 33 | 7 | 12 | 14 | 38—45 | 26 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 33 | 5 | 16 | 12 | 26—38 | 26 |
| „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) | 33 | 6 | 14 | 13 | 24—49 | 26 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 33 | 6 | 10 | 17 | 22—42 | 22 |

განვლილ ტურში ერთნაირი ანგარიშით (0:0) დამთავრდა, ორი შეხვედრა: „შირაკი“ (ლენინაკანი) — „დინამო“ (ბათუმი), „ზენიტი“ (იჟევსკი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი).

**შენიშვნა:** საკდესის მიერ არასწორად გადმოცემული ცნობის საფუძველზე ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ტყიბულის „მეშახტისა“ და ლენინაკანის „შირაკის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. სინამდვილეში გამარჯვება მოიპოვა „მეშახტემ“ — 1:0. ცვლილება შეტანილია ცხრილში.

მოგვყავს რსფსრ-ს IV ზონაში 3 ოქტომბერს ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები: „შუქურა“ (ქობულეთი) — „უროჟაი“ (გროზნო) 3:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 2:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ირისთონი“ (მოზდოკი) 4:0, „უროჟაი“ (დერბენტი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი) 2:0, „ტრუდი“ (კასპიისკი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი) 0:2, „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:1, „უროჟაი“ (კრიმსკი) — „მადაროელი“ (ჭიათურა) 1:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 5:0.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 7 ოქტომბრისათვის

### III ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უროჟაი“ (მაიკოპი) | 36 | 23 | 6 | 7 | 56—20 | 52 |
| „ხიმიკი“ (ბელაკოვო) | 37 | 19 | 13 | 5 | 44—17 | 51 |
| „სპარტაკი“ (ბელგოროდი) | 36 | 20 | 10 | 6 | 60—19 | 50 |
| „შრ. რეზერვები“ (კურსკი) | 36 | 20 | 10 | 6 | 45—33 | 50 |
| „დილა“ (გორი) | 35 | 18 | 9 | 8 | 59—26 | 45 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 36 | 17 | 9 | 10 | 42—24 | 43 |
| „ტრუდი“ (ენგელსი) | 33 | 14 | 9 | 10 | 46—27 | 37 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 36 | 12 | 13 | 11 | 39—33 | 37 |
| „ტორპედო“ (არმავირი) | 36 | 13 | 11 | 12 | 35—32 | 37 |
| „უროჟაი“ (სლავიანსკი) | 36 | 14 | 8 | 14 | 51—35 | 36 |
| „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) | 36 | 12 | 11 | 13 | 28—40 | 35 |
| „ენერგია“ (ვოლჟსკი) | 35 | 12 | 10 | 13 | 32—30 | 34 |
| „უროჟაი“ (ლაბინსკი) | 35 | 9 | 14 | 12 | 18—42 | 32 |
| „ხიმიკი“ (ნევინომისკი) | 36 | 10 | 11 | 15 | 30—38 | 31 |
| „დაშკინი“ (ზაქათალა) | 35 | 10 | 11 | 14 | 26—46 | 31 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 35 | 11 | 8 | 16 | 35—42 | 30 |
| „კოლოსი“ (ალექსანდროვსკაია) | 35 | 10 | 9 | 16 | 32—44 | 29 |
| „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) | 37 | 8 | 12 | 17 | 29—52 | 28 |
| „უროჟაი“ (ლენინგრადსკაია) | 35 | 7 | 12 | 16 | 21—39 | 26 |
| „არაზი“ (ნახიჭევანი) | 36 | 5 | 9 | 22 | 22—63 | 19 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 36 | 5 | 7 | 24 | 26—67 | 17 |

### IV ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 36 | 20 | 6 | 10 | 65—36 | 46 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 37 | 19 | 7 | 11 | 38—38 | 45 |
| „სევანი“ (ოქტემბერიანი) | 36 | 18 | 8 | 10 | 52—29 | 44 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 35 | 16 | 12 | 7 | 37—36 | 44 |
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 35 | 16 | 11 | 8 | 46—24 | 43 |
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 35 | 17 | 8 | 10 | 47—29 | 42 |
| „არაქსი“ (ეჩმიაძინი) | 35 | 18 | 5 | 12 | 40—32 | 41 |
| „უროჟაი“ (კრიმსკი) | 36 | 14 | 12 | 10 | 44—36 | 40 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 37 | 13 | 14 | 10 | 47—47 | 40 |
| „უროჟაი“ (დერბენტი) | 34 | 14 | 11 | 9 | 43—28 | 39 |
| „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) | 35 | 13 | 13 | 9 | 42—30 | 39 |
| „ტრუდი“ (კასპიისკი) | 35 | 14 | 7 | 14 | 34—40 | 35 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 37 | 11 | 13 | 13 | 32—28 | 35 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 36 | 13 | 7 | 16 | 48—50 | 33 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 36 | 13 | 6 | 17 | 38—37 | 32 |
| „ირისთონი“ (მოზდოკი) | 36 | 12 | 8 | 16 | 36—41 | 32 |
| „მადაროელი“ (ჭიათურა) | 35 | 11 | 9 | 15 | 34—38 | 31 |
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 35 | 6 | 12 | 17 | 25—46 | 24 |
| „უროჟაი“ (გროზნო) | 36 | 6 | 10 | 20 | 34—54 | 22 |
| „ლერნაგორცი“ (კაფანი) | 35 | 8 | 5 | 22 | 23—61 | 21 |
| „კახეთი“ (თელავი) | 34 | 5 | 8 | 21 | 27—52 | 18 |

# სხვა ამბები

● ერევანი, 6 ოქტომბერი. ადგილობრივ ტრეკზე გრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება. წარმატებით ასპარეზობს ხარკოველი რ. ობოდოვსკაია, რომელმაც სსრ კავშირის ორი ახალი რეკორდი დაამყარა: 10 კილომეტრზე აჩვენა 14.25,2, ხოლო 3 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში — 4.04,6. ორივე ეს შედეგი ახალი მსოფლიო მიღწევაცაა.

● კიშინიოვი, 6 ოქტომბერი. გუშინ აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. XVI შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ქალთა და ვაჟთა გუნდები. ქალთა ფინალურ შეხვედრაში მოსკოველებმა მოუგეს (8:5) უკრაინის წარმომადგენლებს და მოიხვეჭეს სსრ კავშირის თასი, რომელიც უკრაინელ სპორტსმენებს ჰქონდათ. ვაჟთა ფინალურ ასპარეზობაშიც ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. იმავე ანგარიშით გამარჯვება კვლავ მოსკოველებს დარჩათ. დედაქალაქის ნაკრებში გამოდიოდნენ ა. ამელინი, ლ. ამელინა, ს. გომოზკოვი, ზ. რუდნოვა და სხვ. და მაინც ამ კოლექტივს გამარჯვება გაუჭირდა. მომდევნო ოთხ ადგილზე გავიდნენ: ქალებში—აზერბაიჯანი, ლიტვა, რსფსრ, ლატვია; ვაჟებში—აზერბაიჯანი; ლატვია, ლენინგრადი, საქართველო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 7 უე 00919